ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲗᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ

832
1963

"NOTRE DRAPEAU"

ᲒᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ.

N° 39

Directeur: MICHEL STOUROUA.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

რ. ა. 26 მაისი.
Თ. ᲡᲐᲠᲯᲕᲛᲚᲐᲫᲔ—მცირე შენიშვნები დიდ საკითხებზე.
ᲡᲐᲠᲘ—საბჭოთა ქვეყანაში.
Თ. Ხ.—ძალა სიმართლის!..
Მ. ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ—ნ- ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ გარდაცვალების 10 წ. თავი.
ᲮᲗ. ᲬᲣᲪᲘᲫᲕᲘᲚᲘ—ᲨᲘᲨᲘᲡ ᲐᲮᲠᲓᲘᲚᲘ.
Გ. ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ—საქარ. სოფლის მეურნ. მოწინავეთა თათბირი.
Ვ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ—ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ და სხვ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲛᲐᲝᲮᲝ. Paris.
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი დამოუკიდებლობის დღე.

საამო მოგონება, სიხარულის დღე! აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითარსებობის, აი რა არის 26 მაისი.

ჩვენ ვამბობთ «აღდგენა», რადგან საქართველოს თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში მუდამ ქონდა თავის სახელმწიფო, თავის განსაკუთრებული სოციალური და პოლიტიკური წყობა.

26 მაისი ამიტომ არ არის არც გარედან მოტანილი, არც მიმდინარე მოვლენათაგან წარმოშობილი. იგია გახარება, გაცოცხლება ისტორიულ წარსულის, მასთან მჭიდროთ დაკავშირებული და მისი გამგრძელებელი.

26 მაისი ახალი ფორმაა, წარსულის ძირებზე აღმოცენებული და იმავე დროს ჩვენი ერის თანამედროვე კულტურულ კაცობრიობის სიმაღლეზე ასვლის მაჩვენებელი. დამოუკიდებლობის აქტი ამ თანამედროვეობის და თავისებურობის გამომხატველია.—იგი ღრმადაა შეჭრილი ჩვენი ისტორიის წიაღში. და იმავე დროს იგი სადღეისო, აქტიური სამოქმედო პროგრამაა, რომელიც განაღდებას მოელის, განაღდებისათვის გაალმასებულ ბრძოლას აწარმოებს.

26 მაისი ტკბილი მოგონებაა, რომელსაც თან ახლავს მწუხარება და ნაღველი.

ოცდაექვს მაისს აღმდგარ საქართველოს კომუნისტურმა, გაწითლებულმა საბჭოთა რუსეთმა წარსტაცა თავისუფლება და თავს მოახვია კომუნისტური, დიქტატორული რეჟიმი, უჩვეულო და მიუღებელი ქართველი ერისათვის.

მაგრამ ქართველი ერი ამ ახალ განსაცდელსაც გაუძლებს. წინეთაც უნახავს მას არაბების შემოსევა, თემურ ლენგის მრისხანება, ოტომანის იმპერიის გამანადგურებელი შემოტევები, მაგრამ არ შემდრკალა, არ მოუხრია ქედი. მოუცილებია, განუდევნია შემოჭრილი მტრის ურდოები. ახლაც, როცა მას სულთამხუთავად ადგია თავს საბჭოთა რუსეთი—კომუნისტური იმპერიალისტების მეთაურობით, ჩვენ ვამბობთ თამამად, გაბედულად, ხმამაღლად: ამ ახალ ბატონის უღელსაც მოიხსნის იგი, ამ ახალ ისტორიულ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვა.

მუხანათური მეთოდით უდგება მუხანათი მტერი ქართველ ერს და ქართულ კულტურას. ვითომდა მაღალი კომუ-

30275
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნისტური ბედნიერებისათვის, ამ ქვეყნად სამოთხისებურ ცხოვრების დამყარებისათვის მოითხოვს იგი ერისაგან თავის მეობაზე ხელის აღებას და ერთ საბჭოთა ერში გათქვეფას! რა საშინელი სიგიჟეა! რა გაუგონარი თავხედობაა! თუ რას წარმოადგენს კომუნისტური სამოთხე, განა ამას ქართველი ხალხი ვერ ხედავს? და განა შეუძლია მას ამ «სამოთხის» სახელით ხელი აიღოს თავის სახელოვან წარსულზე, ათას წლობით დაგროვილ კულტურულ მონაპოვარზე? ესეც არ იყოს, განა უკანასკნელი 40 ზე მეტი წლის განცდები ყოველ მაღალ ფრაზებზე და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე უფრო ნათლად არ მეტყველებენ კომუნიზმის ნამდვილ, ანტიხალხურ, ანტიეროვნულ, ანტიადამიანურ ბუნებაზე?! ვინ იქნება ისეთი ბრმა ორივე თვალით, რომ შავი თეთრად მიიღოს?

მხოლოდ სიყალბეში დაინტერესებული, მხოლოდ გამცემლობით საზოგადოების სათავეში წამოსკუპული, მხოლოდ სიმუხთლით ერის არამკითხე მმართველად ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მძარცველად მოვლინებული!

მაგრამ ესენი ხომ გარეწარებია ან უცხო ძალები, შორიდან მოსულნი, ქვემეხებით და ტანკებით ქართველ ერზე გაბატონებულნი, დღესაც ამ ტანკებზე და ხიშტებზე დაყრდნობილნი.

26 მაისი მათ შემოსეს ძაძით, მაგრამ ქართველთა გულში იგი ბრწყინავს, შუქს ჰფენს, და ბრძოლისკენ მოუწოდებს მთელ ერს, მის ყველა ცხოველ-მყოფელ ძალებს.

დიაღ, 26 მაისი დღეს ალამია ბრძოლის და ეს ბრძოლა არ შეწყდება, სანამ საბოლოო გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

26 მაისი ქართული სახელოვანი ისტორიის ერთი დიდი რგოლია, წარსულის საყრდენებზე გამოჭედილი!

26 მაისი ნაკვეთია და დასაწყისი ახალი ისტორიული ფორმაციის.

26 მაისი გამომხატველია იმავე დროს ქართველი ხალხის მისწრაფებების და იმედების, რომელნიც ახლო მომავალში უნდა განხორციელდენ.

26 მაისი თავდებია ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, თვითმყოფობის და სახელმწიფოებრივი არსებობის განახლების, აღდგენის, განხორციელების.

გაუმარჯოს ქართველ ერს!

გაუმარჯოს 26 მაისს!

რ. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცირე შენიშვნები დიდ საკითხებზე.

«წყეული კაპიტალიზმი».

ეპოქის დიდ დამახასიათებელ მოვლენათა შორის უმთავრესია სოციალ-ეკონომიური ძვრები, რომელთა მოწამენი ვართ და რომლის ღრმა განვითარებამ,—თუ კაცობრიობას საშინელ ომისგან წალეკვა არ უწერია,—სრულ სოციალურ და ყველა ერთა თავისუფლებამდე უნდა მიგვიყვანოს...

ე. წ. კაპიტალიზმი მე-18 საუკუნისა ისტორიას ჩაბარდა, მას დღეს აღარ ახასიათებს ის გამყვლეფი თვისებები, მისი უფლებრივი საძირკველი შერყეულია, მისი ორგანიზაციული წყობა შეცვლილია,—ცხადია ეს ევოლიუცია არ მომხდარა თავისთავად, უბრძოლველად, არამედ იგი შედეგია მუშათა კლასის შეუპოვარი ბრძოლისა და პროგრესიულ იდეათა განხორციელების...

კაპიტალისტური სამყარო დღეს იძულებულია შეურიგდეს იმ სოციალურ კანონმდებლობას, რომლის მიზანია შრომისა და მშრომელის უფლების და ღირსების დაცვა. იგი მიდის მუშებთან მოლაპარაკებაზე და თუ ხშირად სოციალურ კონფლიქტებს აქვს ადგილი, დღეს შეუძლებელია ის სისხლიანი შეტაკებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შორეულ წარსულში, პირიქით მუშათა სამართლიანი მოთხოვნილებები გვარდება საზოგადოებრივი აზრის თანაგრძნობით, ზეგაელენით და თვით სახელმწიფო ძალაუფლების ჩარევით...

სამრეწველო დარგში თანდათანობით არსდება სამრეწველო კომიტეტები მუშების მონაწილეობით, რომლებიც დაინტერესებული არიან მრეწველობის ბედით, მისი ნაყოფიერების ზრდით...

მაშასადამე დიდი სოციალური კატაკლიზმების გარეშე შესაძლებელი ყოფილა ადამიანის კეთილდღეობის მოპოება, მისი პიროვნების დაცვა, მისი შემოქმედების გაშლის შესაძლებლობა.

რაღაც ათი-თუთხმეტი წლის მანძილზე თავისუფალ ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობა თანდათანობით აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს. ევროპის და სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა იმდენად მყარეა და სტაბირური, რომ მათ წინაშე დღეს სდგას საკითხი მხოლოდ დაგროვილ სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენების და ურთიერთ შორის დამზადებულ საქონელთა მიწოდებისა თუ გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების...

ამ ღრმა ძვრების ახსნა უნდა ვეძიოთ ორ დიდ ფაქტორში: ერთია განვითარებულ ტეხნიკის და ატომიურ ენერგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენება, მეორეა თვით ლიბერალურ აზროვნების კრიზისი, რომელმაც ვერ გაუძლო იმ სოციალურ დაჯახებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში,—განა მოწამენი არ ვიყავით ამ საუკუნის ოცი თუ ოცდაათიან წლებში მწვავე კრიზისების და ნგრევის?...

როცა ზედიზედ იცვლებოდენ მთავრობები, როცა შემოიჭრა ეგ. წოდ. დაგეგმილი ეკონომიკა.

წლების მანძილზე ლიბერალურმა აზროვნებამაც განიცადა ცვლილება...

აღიარებული იქნა კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაგეგმის ჰარმონიზაცია—ერთი-მეორეს გვერდით მათი არსებობის შესაძლებლობა.

მაშ ასე, სოციალ-ეკომომიურმა—ნორმალური ვზით წინსვლამ თავისუფალ ქვეყნების კრიზისებისგან თავის დაღწევამ —აღმართა უდიდესი კედელი, რომელზედაც ასკდება მოსკოვური კომუნიზმის ტალღები.

სოციალური ევოლიუცია თავისუფალ ქვეყნების აფრთხობს, აშინებს ოქტომბრის მოციქულებს, რომლებიც მოელოდნენ ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ—საერთაშორისო სოციალურ ცეცხლის დანთებას, საკუთარ ბატონობის გასავრცელებლად.

მათი იმედი სამუდამოდ დამსხვრეულია.

ეკონომიური გაერთიანება.

მოსკოვს არასოდეს სურდა—ევროპა ეკონომიურად წელში გამართულიყო. თავის დროზე იგი ილაშქრებდა ე. წ. მარშალის გეგმის წინააღმდეგ; ხოლო როცა შესაძლებელი გახდა ევროპის სახელმწიფოთა შორის ეკონომიური კავშირის დაარსება,—მან განგაში ასტეხა და დიდი ხნიდან ნაცად ხერხს მიმართა,—შინაური საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა. თითქოს თავისუფალ ერთა ეკონომიურათ დაახლოვება მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ.

რასაკვირელია მან კარგად შეაფასა—საერთო ბაზრის—ეკონომიური შედეგები, რომლებიც მხოლოდ ხელს შეუშლიან საბჭოთა—ეკონომიურ შემოტევას, მის ჩარევას თავისუფალ ქვეყნების შინაურ ცხოვრებაში...

ევროპის ეკონომიური დაკავშირების შედეგები კი უდიდეს დადებით პერსპექტივებს იძლევა: სასოფლო და სამრეწველო დარგების პროდუქციის თავისუფალი გატანა და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნის ბაზარზე გაყიდვა.

სოციალურ კანონმდებლობის შეფარდება, შრომის ბაზრის მოგვარება, თითეული ქვეყნის შინაურ წესების დამორჩილება—საერთო ინტერესებისადმი.

საბაჟო გადასახადების მინიმუმამდე დაყვანა ზოგიერთ შემთხვევებში სრულიად მოსპობა.

აი მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც შესაძლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ხდიან თითეულ მოკავშირის ნაციონალურ მეურნეობის სრულ განვითარებას და წარმატებას.

მცირე ხნის პრაქტიკამ ნათელყო ეკონომიური კავშირის დადებითი შედეგები, მან გააუმჯობესა ფართე მასსების ნივთიერი მდგომარეობა.—ეს მოვლენა არ შეეძლ ო გამოპარვოდა ადგილობრივ კომუნისტურ პარტიებს, რომელთა მოთხოვნით მოსკოვი იძულებული გახდა შეენელებინა თავდასხმები—ევროპის საერთობაზრის წინააღმდეგ. თუმცა მას არანაკლებად აფიქრებს, რომ ეკონომიური გაერთიანება წინამორბედია იმ პოლიტიკურ გაერთიანების, რომელიც მუდამ იდგა დღის წესრიგში წარსულში და დღეს კი აქტუალურად სდგას ევროპის საზოგადოებრივ აზრის წინაშე... ამ მხრივ დამახასიათებელია მოსკოვის გალაშქრება ორი დიდი ერის გერმანია-საფრანგეთის დამეგობრების წინააღმდე. რადგან ამ ორი ერის დამეგობრება-დაკავშირება უსათუოდ საძირკველს უყრის მთელი ევროპის პოლიტიკურ მთლიანობას... პერსპექტივა უსათუოდ დამაფიქრებელია მოსკოვისთვის. მას ეცლება ნიადაგი ამ ერთა შიგნიდან ასაფეთქებლად. ცხადია იგი ამით იარაღს არ ჰყრის და თანაარსებობის თუ სხვა დიპლომატიური ხვრელებით ცდილობს თავის მიზნების განხორციელებას... მაგრამ ევროპა ეკონომიურად წელში გამართული და პოლიტიკურად გაერთიანებული, აქაც შესძლებს თავი დააღწიოს და თავის ძველი ცივილიზაცია გადაარჩინოს...

საგარეო ფრონტზე.

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა მუდამ დამოკიდებული იყო და განისაზღვრებოდა ქვეყნის შინაური მდგომარეობით. კუბიდან ხრუშჩოვის უკან დახევა, მისი სამხედრო კაპიტულიაცია—შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას ზურგი მაგარი ჰქონოდა. შეერთებულ შტატების მტკიცე პოზიციამ იგი უცბად, შეაშფოთა, ხოლო უკან დახევის გამართლება კი გასაღებულ იქნა როგოროც უაღრესი სურვილი მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად.

კუბის აქციამ და ბერლინის საკითხის მოუგვარებლობამ, კომუნისტურ ბანაკში გამოიწვია არეულობა. მოსკოვის წინააღმდეგ ჩინეთისა და აფრიკა-აზიის ქვეყნების კომპარტიების გალაშქრება. რომელსაც როგორც სჩანს ჩუმად ხელს უწყობს კრემლის კულუარებში მოძრავი ოპოზიციონერები.

ამას ზედ ერთვის დესტალინიზაციისგან გამოწვეული რეაქცია, რომლის ჩაქრობა არც ისე ადვილი საქმეა. სტალინის აჩრდილი თავს დასტრიალებს საბჭოთა საგარეო და საშინაო ფრონტს და მასზე ახდენს გავლენას...

ყველა ეს გარემოებანი უყენებს საბჭოთა დიქტატურას დილემას: გააგრძელოს თანაარსებობის ტაქტიკა, თუ აწარმოოს აშკარა შეტევითი პოლიტიკა ე. წ. კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერჯერობით მოსკოვი თითქოს მტკიცეთ იცავს უკვე არჩეულ გზას—თანაარსებობისას, და რომ ეჭვი არ შეიტანოს ვინმემ მის ცბიერებაში, ახშირებს მოჩვენებითი სურათებს, როგორიცაა სიძის პაპასთან შეხვედრა, რომის სასულიერო კრებულზე მღვდლების გაგზავნა, ტიტოს მოპატიჟება და სხ.

მეორეა, ჩინეთის კომპარტიის უკომპრომისო შეტევითი პოლიტიკა კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ რომელიც შეუჩერებლივ ამტკიცებს—სანამ არსებობს კაპიტალიზმი—არის შესაძლებლობა ომის. ამიტომ მზად უნდა ვიყვეთ და ვემზადოთ. საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ყველაზე უფრო ძლიერია უნდა უმეთაუროს სოციალისტურ ბანაკს და დარაზმოს მოსალოდნელ ომის წარმოებისათვის...

ჩინეთის პოზიცია თანდათანობით აოყევს მოსკოვის წამყვან, პირველობის როლს... რომელიც იძულებული ხდება სამჯერ რომ თავში ჩაარტყამს უკვე მიგდებულ სტალინის გვამს, ერთჯერ ფეხზე წამოაყენებს... ცდილობს მოახერხოს ისე რომ შეინარჩუნოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მეთაურობა და ამავე დროს საგარეო პოლიტიკის ფრონტზე თანაარსებობის სტრატეგია ე. ი. მშვიდობიანი თანამშრომლობითი გზით საძირკველი გამოუთხაროს თავისუფალ ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ მართველობას... რადგან თვით ხრუშჩოვის თანაარსებობის თეორია, ლენინისგან ნაანდერძევი—რა არის თუ არა, შემოვლითი, შეპარვითი ტაქტიკა, საზოგადოებრივი აზრის მისაძინებლად, ხან შიგნიდან აფეთქებით, ხან ლეგალური—პარლამენტარული გზით, ხან სოციალურ კონფლიქტების გამოყენებით თავის ზრახვების განხორციელებას, მთელ სამყაროზე მოსკოვურ კომუნიზმის გავრცელებას...

საბჭოთა აგრესიულობის შენელება, პაციფისტურ ჰანგების გაძლიერება გამოწვეულია შინაურ ეკონომიურ კრიზისებისგან. დღეს მოსკოვს აღარ ძალუძს როგორც სჩანს მილიარდები ჩაჰყაროს შუა თუ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში საპროპაგანდოთ, მით უმეტეს აქედან მას უკვე თითქმის ფეხი აადგმევინეს... მეორეს მხრივ ქვეყნის მილიტარიზაცია გრძელდება და მძიმე მრეწველობაში კაპიტალის დაბანდება მძიმეთ აწვება საბჭოთა ეკონომიკას...

საბოლოო ანგარიშში ამ თავისუფალ თანაარსებობის—გატარების პროცესში თავისუფალ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი თანდათანობით ჯანსაღდება, ფხიზლდება, მოსკოვის ზრახვებში ერკვევა და მტკიცე პოლიტიკური პოზიციების დაკავშირებით—უდიდეს გავლენას ახდენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკაზე...

თავისუფლების იდეა თანდათანობით გზას იკაფავს და ცდილობს ტოტალიტალური რეჟიმის კედლები ჩამოანგრიოს...

პ. სარჯველაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქვეყანაში.

ხრუშჩოვის ახალ-ახალი რეფორმები გადაჯექ-გადმოჯექის თამაში აშკარად მოწმობს იმ მწვავე კრიზისის არსებობას, რომლითაც დაავადმყოფებულია საბჭოთა სოციალ-ეკონომიური ცხოვრება. არსებული კრიზისის ძირი—მისი წარმომშობი მიზეზები, ღრმაა, ფართეა და თანდათანობით განვითარების გზით მომდინარეობს შორიდან...

უნდა ავხსნათ.

ოქტომბერმა მიზნათ დაისახა უკლასო საზოგადოების შექმნა, საკუთრების მოსპობა და საზოგადოებრივი წარმოების მოწყობით, ბედნიერი ცხოვრების დამყარება. 1936 წელს, როცა სტალინმა თავისი კონსტიტუცია გამოაქვეყნა მან საქვეყნოთ აღიარა,—საბჭოთა კავშირში კერძო საკუთრების მოსპობა, ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიულ კლასის გაქრობა. მართალია სტალინის ტეროორმა ამოჟლიტა ძველი მესაკუთრენი, მაგრამ მის ადგილას წარმოიშვა ახალი წოდება,—პრივილეგიური, რომელიც გამგე და ბატონია ე. წ. კოლექიურ საკუთრების, თუმცა არც ერთი ბიუროკრატი, არც ერთი კომუნისტი მესაკუთრეთ თავს არ თვლის, მაგრამ თითეული მათგანი მონაწილეა იმ მონოპოლიურ უფლების, რომელიც განაგებს ახალი ფორმის საკუთრებას. შორიდან, უბრალო თვალით ეს საკუთრება უჩინარია და იფარება საზოგადოებრივი სამოსელით, ასეთი მესაკუთრეობის სისტემა სრულებით არაა კომუნისტური პარტიის გამოგონილი, ხოლო მან უფრო ღრმა ფესვები გაიდგა ახლა, ვიდრე ეს იყო ფარაონების დროს.

სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები ანუ უკეთ მონოპოლია საკუთრებაზე და მონოპოლია ხელისუფლებაზე ერთიმეორეს დაემთხვა, ერთიმეორე შეავსო, გახდა ერთიმეორეს დასაყრდნობი. ორივენი მიდიან ერთი გზით, ემსახურებიან ერთს ღმერთს—დესპოტიურ მართველობის განმტკიცებას მისი არსებობის უზრუნველყოფას.

წაართვით კომუნისტურ პარტიას მონოპოლია ხელისუფლებაზე ცხადია დაინგრევა პრივილეგიური კლასი, მიეცით მუშათა კლას უფლება,—მის მიერვე შექმნილ პროდუქციის სარგებლობის—თქვენ მოსპობთ მონოპოლიას საკუთრებაზე. ეს იქნებოდა დასაწყისი და დასასრულიც კომუნისტურ სამყაროს დანგრევისა. მაშასადამე სანამ მონოპოლია მართველობაზე და საკუთრებაზე არ მოსპობილა, პირველი არ გამხდარა ხალხის ხელმისაწდომი და მეორე მისი არსებობის სასარგებლო,—მანამდე არავითირ ცვლილებაზე, რომელზედაც დღეს ამდენს სწერენ უცხოეთის პრესაში—საბჭოთა სინამდვილეში ლაპარაკიც არ შეიძლება...

და აი როცა მომაგრდა ახალი მართველი კლასი ე. ი. კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნისტური სათავე, ბიუროკრატია, როცა იგი მაგრად დაეუფლა ნაციონალურ ქონებას უძრავსა და მოძრავს, შექმნა განსაკუთრებული ფორმა საკუთრების, შეცურდა ფუფუნებაში, შეიძინა დაჩები, ავტომობილები, კურორტები და სხვ. ახლა მას ესაჭიროება მხოლოდ სიწყნარე, დასვენება, სიმშვიდე. სტალინი თავის ტერორით და რეპრესიებით კარგი იყო მაშინ, როცა ამ ბიუროკრატიას ჯერ კიდევ წელი არ ქონდა გამაგრებული. ახლა მისი მეთოდი რეპრესიებისა და სისასტიკის მიუღებელია, რატომ? იმიტომ, რომ ასეთი რეპრესიები შეიძლება მასაც მოხვდეს, შეარყიოს მისი მყუდრო ცხოვრება და საფრთხის ქვეშ დააყენოს მისი ნივთიერი უპირატესობა.

დღეს დიდია მისწრაფება ამ პრივილეგიურ კლასში მოსაქცევად. კომპარტიის დაბალ რიგებიდან—მაღლა ასასვლელად. ცხადია მაღლა ასულის—დაბლა დასაწევად, საკუთარი თავის ასამაღლებლად—სხვისი დამცირება, გაბახება, კარიერის ძებნა—მლიქვნელობით... ასეთია კომუნისტური მორალი, რომლითაც იყღენთება და იწამლება საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრება...

პრივილეგიური კლასი, ცხადია არ არის ერთფეროვანი, ერთი იდეოლოგიით შეკრული, არამედ კატეგორიებად დაყოფილი,—კომპარტიის მაფრთხობელა და მოქიშპე: ესაა ორ მილიონზე მეტი ტექნიკური ინტელიგენცია, სამეურნეო ბიუროკრატია, რომელთა დამახასიათებელია, ტექნიკური ცოდნა, უმაღლესი სულიერი დონე, უნარი ეკონომიური ცხოვრების მოგვარების, სახელმწიფო აპარატის მართვის...

თითეულ სოციალურ კატეგორიას სურს ითამაშოს წამყვანი როლი მართველობაში და აქედან იწყება ქიშპობა, კულისების ინტრიგა, უწყებათა შორის დატაკება და დაპირისპირება.

ამას ემატება სასოფლო მეურნეობაში პერმანენტული კრიზისი, გამოწვეული უმთავრესად გლეხობის პასიური წინააღმდეგობით. 40 წლის მანძილზე ხელისუფლებამ ვერ შექმნა ერთი პერიოდიც კი სტაბილიური მდგომარეობის.

რუსის გლეხობამ არ მიიღო კოლექტივიზაცია, რაც თავის დროზე თვით სტალინმა აღიარა ჩერჩილთან საუბარში: «კოლექტივიზაციისთვის ბრძოლა ჩვენთვის უფრო ძნელი იყო, ვინემ ბრძოლა ნაცისტურ გერმანიასთანო».

ხოლო ხრუშჩოვმა ქ. ტულაში წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში აღიარა:

«რეაქციონურ სულის აღმოფხვრას სოფლად არმიები დასჭირდებაო»...

გლეხობაში მისწრაფება და სიყვარული კერძო საკუთრებისადმი დიდია, ეს გამოჩნდა იმ მცირე ნაჭერ მიწის დამუშავებაში რომელიც გლეხს დაუტოვეს... კერძო საკუთრებიდან მოყვანილი პროდუქცია პროცენტულად საგრძნობ რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობას წარმოადგენს, იგი უფრო შემოსავლიანია ვინემ კოლექტიური მეურნეობა, და აი შეშფოთებული ხელისუფლება ხან აძლევს მცირე ნაჭერ მიწას გლეხობას,—ხან ართმევს და ავიწროებს; განა თვით მარქს-ენგელსი არ აღიარებდნენ გლეხობისთვის მიწის კერძო საკუთრების აუცილებლობას თვით სოციალიზმის ხანაში?

თუ შორეულ წარსულში რუსეთის სასოფლო მეურნეობაში საკმარისი იყო «ბატრაკები», დღეს დაწინაურებულ ცხოვრების პერიოდში,—როცა საჭირო გახდა მექანიკოსები, მოხელეები და ხელისუფლებაც იძულებულია მასსიური აღზრდა შემოიღოს, გათვითცნობიერებული სოფლის ახალგაზრდობა ვერ ურიგდება სოფლად არსებულ შემავიწროებელ პირობებს და პროტესტების ნიშნად სტოვებს მას, მიდის მასსიურად ქალაქებში ბედის საძიებლად...

უდიდესი ყურადღების ღირსია ის სულიერი განწყობილება, რომელიც შექმნილია ახალგაზდობაში. სტატისტიკა გვიჩვენებს რომ ლენინის სახელობის ინსტიტუტში შემსვლელთა რიცხვი არა თუ მატულობს, არამედ კლებულობს, ის გაურბის კომუნისტურ დოგმების შესწავლას.

იდეური სიკოტრე აშკარაა. ახალგაზრდობის გონება ადვილად ერკვევა, რომ მილიარდები იხარჯება ცაში გასაფრენად, რათა ასეთი მიღწევები გამოყენებულ იქნას საგარეო პოლიტიკის გასატარებლად,—მიწაზე ადამიანები რჩებიან—ნახევრად მშიერნი, დაუხურავ-შეუმოსავი.

ომის პროცესში ახალგაზრდობას ოდნავ მაინც მიეცა საშვალება,—გაცნობოდა თავისუფალ ქვეყნების ცხოვრებას. კულტურულ გაცვლა გამოცვლასაც დიდი სარგებელი არ მოუტანია საბჭოთა მთავრობისთვის, პირიქით იქ ნამყოფნი დაბრუნდნენ თავისუფლების სითბოს-ნაზიარები.

ხელისუფლება, რასაკვირელია ცდილობს ახალგაზრდობის სული დაიპყროს, ბოლშევიკური იდეალით აღზარდოს, მაგრამ თაობა, რომელიც ომის შემდეგ ებმება ცხოვრების ფერხულში—ვერ ითმენს მთავრობის ცბიერებას, სიფარშივეს, სიმტკიცეს, მისი ახალგაზრდული ბუნება ვერ ეგუება პიროვნების შევიწროებას.

ხელისუფლება ხედავს, რომ ახალგაზრდობა ძალიან ნაკლებათ დაინტერესებულია საბჭოთა საზოგადოებრივი საქმიანობით და გატაცებულია თავისი პირადი ცხოვრების მოწყობით, პირადი ინტერესების დაცვით, მასში იღვიძებს დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობის სურვილი. ხელისუფლება ხედავს ამაში უდიდეს საშიშროებას მომავლისათვის და ცდილობს ახალგაზრდობის დამაგრებას. რეჟიმის ერთგულებაში აღზრდას; უკანასკნელი ცნობით, საბჭოთა მართველობამ სავალდებულოთ შემოიღო სკოლებში კომპარტიის ახალი პროგრამის და მე-22 კონგრესის პარტიული მასალების შესწავლა, როგორც სჩანს ახალგაზრდობის გულს არ ეკარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტურ ფრაზეოლოგიაში გახვეული, ათასჯერ გადაღეჭილ გეგმების ათვისება.

დღეს არც ისე ადვილი საქმეა ახალგაზრდობის კომუნისტურ დისციპლინაში ჩაყენება და ამ მხრივ მისი იდეოლოგიური აღზრდა, იმ გარემოებითაც რომ დღეს შეუძლებელია ძალდატანებით, იძულებით, ინდუსტრიალურ კულტურის ხანაში თითო-ოროლა სპეციალისტებით მრეწველობის უზრუნველყოფა. საჭიროა მასსიური აღზრდა, რამაც წარმოშვა განსაკუთრებით ომის შემდეგ მასსიურად აღზრდილი ახალი თაობა განსაკუთრებული ფსიხოლოგიური განწყობილებით და სულიერი ვითარებით. მართალია ახალგაზრდობა დღეს გზის ძებნაშია, არსებული მას არ მოსწონს, მომავალში გაურკვეველია. საჭიროა იგი შეიარაღდეს თავისუფლების იდეალური რწმენით, შეიმუშავოს გარკვეული აზრი და წარმოდგენა მომავალ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე და ორგანიზაციულად დარაზმულმა იბრძოლოს მის განხორციელებისთვის... ეს აუცილებელია და გარდაუვალი.

საბჭოთა ცხოვრების სოციალური და ეკონომიური დუღილი აფრთხობს, აშინებს ხრუშჩოვის მართველობას. შეუძლებელია უარყოფა იმ დიდი მიღწევების მძიმე და სამხედრო ინდუსტრიაში—რაც საბჭოებს აქვთ. მაგრამ შეუძლებელია იმის უარყოფაც, რომ აქედან ადამიანის კეთილდღეობა არ დამყარებულა. პირიქით მოხდა მხოლოდ პრივილეგიურ კლასის კონსოლიდაცია. ამ კლასში კი ყველაზე მეტათ მყარია კომ—ური აპარატჩიკები, კომუნისტური ბიუროკრატია, ხელისუფლების სადავე რომ ხელში უკავია და იგი ყველაზე საიმედოა ხრუშჩოვისთვისაც.

ის რაც უკანასკნელ პლენუმზე მოხდა სრული საბუთია იმისი, რომ ხრუშჩოვი თავისი პროექტით ერთხელ კიდევ დაეყრდნო თავის ერთგულ არმიას, დასავლეთის ზოგიერთი ფანტაზიორები ამ პლენუმიდან მოელოდნენ ხრუშჩოვისგან ლიბერალურ ზომების გატარებას. მოხდა წინააღმდეგი. დაიწყო ახალი ბიუროკრატიული რეორგანიზაცია მრეწველობის პრინციპის მიხედვით, ე. ი. იქმნება თავიდან ბოლომდე პარტიული კომიტეტები, მაღლა ცე—რი ბიურო—ცალკე მრეწველობისთვის, ცალკე სასოფლო მეურნეობისთვის.

არსდება უმაღლესი სამეურნეო საბჭო არსებითად კი რჩება სასტიკი ცენტრალიზაცია.

რა არის აქ ახალი გარდა იმისა, რომ ხდება ცდა პარტიული კონტროლის გაძლიერების, პარტიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების...

რასაკვირელია «ცვლილება» ხდება დიდი აურ-ზაურით—თითქოს ადგილობრივ ორგანიზაციებისადმი დემოკრატიული უფლებების მინიჭებით. ორი წლის უკანაც დაარსდა სამრეწველო-სარაიონო სამმართველოები, რომლებსაც მიუჩინეს სარაიონო ინსპექტორები—პარტიის თვალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ რეფორმასაც იგივე მოელის, დაწყებულ კრიზისებს იგი ვერ შეანელებს, რადგან საბჭოთა სოციალ-ეკონომიური ცხოვრება უსათუოდ შევიდა ახალ ფაზაში, სადაც იგი უნდა გადაშენდეს.

ნგრევის პროცესი დაწყებულია—ისტორიის განაჩენს—იგი ვერ გადაურჩება...

სარი.

ძალა სიმართლის!..

ამა წლის 24 თებერვალს, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობამ,—რომელსაც წერილობით მომართვით უცხოეთიდან გამოეხმაურა მრავალი ორგანიზაციები და პოლიტიკური პიროვნებები,—ერთჯერ კიდევ ამცნო მტერსა და მოყვარეს გარდაუვალი, მტკიცე გარდაწყვეტილება იყვეს გაერთიანებული ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით,—დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენით... მან ეს გამოხატა საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების 10 წლის თავზე.

პოლიტიკური ემიგრაცია დაყოფილი ჯგუფებად,—ყოველ ჭირსა და ლხინში აღმოჩნდა მთლიანი, ერთპიროვანი; რადგან მის დაყოფაშიც ხომ იხატება თავისუფლება აზროვნების, თავისუფლება სიტყვის, თავისუფლება გზის ძებნის—ჭეშმარიტების ხილვის. ამაშია მისი ძალაც, რაც ძლიერ მტერს არ გააჩნია, უცხოა მისი რეჟიმისთვის, რომელიც ბორკავს ადამიანის პიროვნებას, მის აზრსა და გონებას... რატომ ასე აფრთხობს ძლიერ მტერს ჩვენი არსებობა, რომ განსაკუთრებული ორგანო დაარსა,—ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად...

ათეულ წლების განმავლობაში აწარმოებს უმსგავსო თავდასხმებს აქტიურ მომქმედ პიროვნებებზე, რა მოიგონეს, რა ცილისწამება, დამცირა, გაწბილება.—ემიგრაციამ მას უპასუხა უფრო შემჭიდროებით, მტკიცე დარაზმულობით.

არის ეს 26 მაისი, აგვისტო, შავი თებერვალი, თუ ქართველი ერის ბელადის მოგონების დღე, იგი ააშკარავებს ამ მთლიანობას—ერთსულოვნობას, და აი ეს მორალური ძალა,—ძალა სიმართლის, რწმენის და სამშობლოს ტყვეობიდან განთავისუფლების—აი დროშა, რომელიც მიუძღვის ქართველს, გზას უნათებს თითეულ ქართველს, სადაც იგი არ უნდა იყვეს,—დროშა დატოვებული ნოე ჟორდანიას მიერ, რომელიც მოვა დრო კვლავ აფრიალდება საქართველოს ყოველ კუთხეში.

ბ. ხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას გარდაცვალების ათი წლის თავი.

ამა წლის 24 იანვარს პარიზში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილ მინისტრების: ამხ. რაჟდენ არსენიძის და გიორგი ერაძის ინიციატივით ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მეტად დიდი და შინაარსიანი პოლიტიკური მანიფესტაციის მონაწილე გახდა-

ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების 10 წლის თავი, თავისთავად გლოვის დღე ქართველი ერისა მისი მცხოვანი პრეზიდენტის გარდაცვალებისა, დაუკავშირეს საქართველოს დაპყრობის დღეს. მოსკოვის ბოლშევიკებისაგან, რომლებმაც 42 წლის წინად ქართველ ერს ძალმომრეობით მოსტაცეს თავისუფლება და სისხლის ფასად მოპოვებული 26 მაისის დიდებული თავისუფლება ჯვარს აცვეს.

ნოე ჟორდანიას პანაშვიდის მოწყობის ინიციატორებმა წინდაწინ მოიწვიეს ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი რომელმაც დაასახელა პრეზიდიუმის შემადგენლობა და დაავალა მას პანაშვიდის ტექნიკური საკითხების მოგვარება.

24 თებერვალს, ნაშუადღევის სრულ 3 საათზე, გაიხსნა სამგლოვიარო პანაშვიდი. პრეზიდიუმის მაგიდასთან სხედან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრი ამხ. რ. არსენიძე, პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი ლ. ზურაბიშვილი და ნ. ჟორდანიას მეუღლე და თანამებრძოლი, ყველასაგან პატივცემული ამხ. ინნა ივანეს ასული ჟორდანიასი.

დარბაზში, რომელიც მშვენივრად იყო მორთული ქ-ნ მათიკო სტურუასა და მისი ქალიშვილების მონაწილეობით ტევა აღარ იყო.

კედელს ამშვენებდა ქართული ეროვნული დროშა, ქართული ეროვნული ემბლემით, რომლის ფონზე მოსჩანდა თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას დიდი სურათი ცოცხალი ყვავილებით შემკული.

სამგლოვიარო პანაშვიდი გახსნა ამხ. რ. არსენიძემ, რომლის ხმა დაფარა ბ-ნ ალ. ნაკაიძის ხელმძღვანელობით შესრულებულმა ეროვნულმა ჰიმნმა «დიდებამ» რის შემდეგ ამხ. არსენიძე, იხსენიებს რა ემიგრაციაში უკანასკნელ ხანებში უდროოდ დაღუპულ თანამემამულეებს, საზოგადოებას თხოვს ფეხზე ადგომით პატივი სცეს მათ ნათელ ხსოვნას.

შემდეგ ამხ. არსენიძე საზოგადოებას აცნობს რომ დღეს დილით საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ჩუბინიძის, გრ. ბარამიძის და პრ. იხწკირველის მონაწილეობით ცოცხალი ყვავილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა მორთული ნ. ჟორდანიას საფლავი, რასაც დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება.

მანვე აცნობა საზოგადოებას რომ პანაშვიდის მომწყობ პრეზიდიუმის სახელზე იქნა მიღებული მრავალი წერილები და დეპეშები თავისუფალი სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც იქნენ გამოქვეყნებული გაზ. «ჩვენი დროშის» ფურცლებსე გარდა ქ. ლიონის ქართულ საზოგადოების მგრძნობიარე წერილისა, რომლის დაბეჭდვა დაგვიანების გამოვერ მოხერხდა და რომელსაც ის აცნობს საზოგადოებას.

ამხ. არსენიძემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამ ორი თარიღის ანუ ორი გლოვის აღსანიშნავათ მოწყობილი მანიფესტაციის დროს არ შეიძლება არ იქნეს მოხსენებული ნოე ჟორდანიას ორი თანამებრძოლის ტრაღიკულად დაღუპული ნოე რამიშვილის და ნოე ხომერიკის სახელები. ორატორის მგრძნობიარე სიტყვები დამსწრე საზოგადოების მიერ, რამდენჯერმე ტაშის გრიალით იქნა დაფარული.

შემდეგ ამხ. რ. არსენიძე, როგორც პანაშვიდის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს პარიზის ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლ. ზურაბიშვილს, რომელმაც ღრმა მინაარსიან და ვრცელ სიტყვაში გაიხსენა საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის ისტორია და დამსწრე საზოგადოებას ფრანგულ ენაზე გააცნო ის სიძნელეები რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა მცხოვან პრეზიდენტს.

საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის საზ. გარეთელი ბიუროს და საზ. გარეთ არსებული სოც. დემ. მ. პარტიის ორგანიზაციების სახელით სიტყვას ამბობს ამხ. პ. სარჯველაძე, რომელმაც ფართოდ გააშუქა ნ. ჟორდანიას პოლიტიკურ ლიტერატურული შემოქმედებითი მოღვაწეობა და მისი როლი საქართველოს სახელმწიფოებრივ და პარტიულ ცხოვრებაში.

მეტად გულისხმიერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით ბ-ნ ელ. პატარიძემ, რომელმაც აღნიშნა ნ. ჟორდანიას როლი სოც.-დემ. პარტიაში და სოციალდემოკრატიული პარტიის როლი მაშინდელ საქართველოს სინამდვილეში.

«თეთრი გიორგის» ორგანიზაციის სახელით, სიტყვით გამოდის ბ-ნი დ. კლდიაშვილი, რომელმაც მოკლედ მაგრამ სრული ობიექტიურობით წარმოგვიდგინა ნამდვილი სახე საქ. დემ. რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჟორდანიას მოღვაწეობისა და იმ დიდი დაბრკოლებებისა, რაც 117 წლის წინად დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ნოე ჟორდანიას უდიდესმა სახელმწიფოებრივმა ნიჭმა გადალახა ახალი სახელმწიფოებრივი წყობის შენებისას.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქ. სოც.-ფედერალისტების სახელით ბ-ნი ნ. ურუშაძე, რომელმაც მოგვცა ნათელი სურათი საქართველოს დამოუკიდებლობის დროს შექმნილი ქართული საზოგაოებრივი ძალთა ურთიერთობისა და ნოე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორდანიას როლი ამ ურთიერთობის შექმნასა და შენარჩუნებაში.

ბ-ნი შ. კალანდაძე, მოხსენებით გამოდის მწერალთა კავშირის სახელით, მან თავის სიტყვაში ისე მოხდენილად ჩაურთო ნოე ყორდანიას სტატიებიდან ამოღებული რამდენიმე გულში და სულში ჩამწდომი ფრაზები რომ საერთო ტაშისცემა დაიმსახურა.

ბ-ნი ნოე ცინცაძე შეეხო ნოე ყორდანიას და ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ ურთიერთობის საკითხს და მოიყვანა რამდენიმე მაგალითი მაშინდელი ქართული აზრის სხვადასხვაობისა მაგრამ მაინც ერთ წერტილში თავის მოყრისა—ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობა.

საბოლოოდ ჩვენი ძვირფასი ამხ. ინნა ყორდანია იძლევა რამდენიმე დეტალებს ნ. ყორდანიას ცხოვრებიდან დაბოლვაწეობიდან. ის სვამს საკითხს ემიგრაციის მომავალ მუშაობაში მისი გამოყენებისა.

დარბაზში მყოფი საზოგადოება ფეხზე დგება და გაისმის თავისუფალი საქართველოს ეროვნული ჰიმნი «დიდება».

ამხ. რ. არსენიძე მადლობას მოახსენებს დამსწრე საზოგადოებას მანიფესტაციაში ფართო მონაწილეობის მიღებისათვის და აცხადებს სამოქალაქო პანაშვიდს დასურულად.

მთელი პანაშვიდის მსვლელობა ბ ნ ს. კოხრეიძის მიერ ჩაწერილი იქნა მაგნეტოფონზე, რისთვისაც დამსწრე საზოგადოების მადლობა დაიმსახურა.

ძ. ბერიშვილი.

ნ. ყორდანიას ხსოვნას.

10 წელია რაც ნოე ყორდანია იქნა დასაფლავებული პარიზის გარეუბანში ქ. ვანვში. ნ. ყორდანია დაბ. და 1868 წ. და გარდაიცვალა 1953 წ. ის იყო ცნობილი სოციალისტი. საქართველოს დემ. რესპ. პრეზიდენტი და საქ. ს.-დ. პარტიის თავმჯდომარე, რომელიც ბოლშევიკების ჯარის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობის გამო იძულებული გახდა გასულიყო ემიგრაციაში.

სამი ათასი კილომეტრი აშორებს მის საფლავს თავის სამშობლო მიწისაგან სადაც ის 49 წ. განმავლობაში სარგებლობდა უდიდესი ნდობითა და ავტორიტეტით როგორც დიდი მოაზროვნე, სოციალიზმის მოძღვარი და როგორც პრეზიდენტი საქ. დემ. რესპუბლიკის რომელსაც მან მისცა სოციალდემოკრატიული სტრუქტურა.

გადახვეწილობაშიც, სოციალ. სახელმწიფოების მხარდაჭერით და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების დახმარებით, როგორიც იყვნენ ლ. ბლიუმი, კ. კაუცკი, ლ. დებრიუკერი, ს. ჰიუსმანსი, ე. ვანდერველდე, ჰენდერსონი და სხვა, ის აგრძელებდა აქტიურ მონაწილეობის მიღებას სოციალისტურ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობის გავრცელებაში და იცავდა დაუღალავად ლეგიტიმურ უფლებას თავის ქვეყნისას.

მისი გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად მისმა თანამოაზრეებმა, თანამემამულეებმა უცხოელთა მონაწილეობით მოაწყვეს პარიზში დიდი მანიფესტაცია მისი მეუღლისა და თანამებრძოლის თანადასწრებით.

ორატორებმა ქართულ და ფრანგულ ენაზე პატივი სცეს ნ. ჟორდანიას ხსოვნას როგორც უდიდეს შვილს თავის ქვეყნის საქართველოს, რომელიც იბრძვის თავის დამოუკიდებლობისთვის. *)

10 წლის თავი ნ. ჟორდანიას გარდაცვალების.

საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ხელმძღვანელობით 1963 წლის 24 თებერვალს იქნა მოწყობილი დიდი სამოქალაქო პანაშვიდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ხსოვნის აღსანიშნავად, რომელმაც თავის სოციალდემოკრატიული მთავრობის გარშემო შემოკრიბა მთელი ქართველი ხალხი.

პანაშვიდში მონაწილეობა მიიღო ყველა ქართულმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და პარიზის ქართულ სათვისტომოს შემადგენლობამ. **).

ᲨᲘᲨᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ.

«დესტალინიზაციამ» თითქოს შეანელა ე. წ. «სოციალისტური რეალიზმის» რისხვა, მან წარმოშვა ენერბურგის გალხობა, და იმედი დაუბადა უმთავრესად ახალგაზრდა ლიტერატურულ ძალებს,—გაეშალათ შემოქმედების ფრთები, და თავისუფალი აღმაფრენით გამოეხატათ პროზაში თუ პოეზიაში საკუთარი გონებით შეგრძნობილი და ათვისებული. . მათ წარმოიდგინეს რომ თუ სტალინის გაბახებაში ისინი ხრუშჩოვს სურვილს შეუსრულებდნენ, მათ გზა ეხსნებოდათ ყოველგვარ თემატიკის დასაუფლებლად და დასამუშავებლად.—მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ თუ ხრუშჩოვის მართველობამ მოიწონა სტალინის ეპოქის განიავება ზოგიერთ კალმოსანთა მიერ, მის განხრახვაში სრულებით არ ყოფილა, ამით მიენიჭებია მწერლობისთვის საშუალება ხალხთან დასაახლოვებლად,—ჩამდგარიყო მის სამსახურში და არ ყოფილიყო რეჟიმის მაქებარი და მადიდებელი.

ამ ანკესზე წამოეგო არა მარტო პოეტები, არამედ მხატ-

*) ამოღებულია 1963 წლის 19 აპრილის ბელგიის სოციალისტური პარტიის ორგანო «პეპლ»-დან.

**) ამოღებულია 1963 წლის 17 მარტის ფრანგულ სოციალისტური პარტიის გაზეთ «ლე პოპულერ»-იდან.

302 ᲧᲐ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრები, ზოგიერთი კინოს რეჟისორები და თეატრალურ ცხოვრების მუშაკები.

მოცემული იქნა ზოგიერთი ლიტერატურული ნიმუშები უჩვეულო და მიუღებელი გაბატონებულ წრისთვის, კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზისთვის...

რატომ მოხდა ასე და რას ამტკიცებს ეს ახალი სიოს შემობერვა?..

ახალგაზრდობა,—რომელთა შემოქმედებითი ნიჭი მოითხოვს თავისუფლად გაშლას, ვერ ურიგდება შემბორკავ წესებს, მაღლიდან კარნახით მოცემულ თემაზე კალმის ამუშავებას და როგორც კი იშოვა შესაძლებლობა თავის გულისთქმა გამოეხატა იგი ოდნავ დაუახლოვდა ცხოვრების სინამდვილეს და უმთავრესად მან მოითხოვა გზა თავისუფალი.— დაგმო ყოველგვარი ძალადობა, უარყო მაღლიდან კარნახი. ამხედრდა არსებულ წესების წინააღმდეგ.

რომ ოდნავ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც ლიბერალურ წესების დამყარებას აკუთვნებენ, განზრახვა ქონდა მწერლობისთვის ოდნავ თავისუფლების მინიჭების, იგი არ შეშფოთდებოდა, შეშინდებოდა და ახალგაზრდა ევტუშენკოს და მის მეგობართა წინააამდეგ არ აამუშავებდა თავის ძლიერ ბიუროკრატიულ მანქანას... რადგან უნდა ვსთქვათ, რომ ამ თითო ოროლა ნიჭიერ მწერლებს არ აუხატავთ გაბედულად ხალხის ჭირ-ვარამი. მათი სულისკვეთება, მათი მისწრაფება, მათი სოციალური ჩაგვრა, მათი პოლიტიკური მონობა ხელისუფლებამ სწორად იგრძნო, სწორად შეაფასა, რომ თუ ეხლავე თავში არ ჩაარტყამდა მეტიჩარა ლიტერატურულ ძალებს, თანდათანობით, მათი კალამი ჩაწვდებოდა საბჭოთა სინამდვილის სიღრმეში და იქიდან ამოკრეფდა ქვეყნის გაჭივრების ნიმუშებს და მზის სინათლეზე გამოიტანდა.

რადგან ხრუშჩოვმა და მისმა კრიტიკოს ილიჩევმა, კარგად უწყიან, რომ თუ მწერლობა მათ კონტროლს გაუსხლტდა მას შეუძლია ითამაშოს ისტორიული როლი. დიქტატურისგან მიძინებულ საზოგადოებრივ აზრის გამოღვიძებაში. პროტესტანტულ ცეცხლის დანთებაში... მწერალი ხომ მოწოდებულია იყვეს სიმართლის და ჭეშმარიტების მღაღადებელი საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი და მფარველი, ძალადობისა და ჩაგვრის მამხილებელი.

მაინც და როგორ თვალხილულად, როგორ აშკარად მთელი ქვეყნიერების წინაშე დაიჩუტა და გაჰქრა ხრუშჩოვის ლიბერალური მოჩვენება?.. ჯერ ხომ უცხოეთში გამოგზავნა ევტუშენკო, გატაცებულ ახალგაზრდას გამბედაობა დაურჩა უცხოელებთან მიტინგზე ეთქვა: «მე იმას ვსწერ რასაც ჩემი სინდისი მკარნაგებსო»... რადგან დაავიწყდა ეთქვა—«ვსწერ რასაც კომპარტიის ცენ. კომიტეტი მიკარნახებსო»... ის უკან გაიწვიეს, ყურები აუწიეს და გახადეს საგანი ყოველდღიურ კრიტიკის... ლამის არის კალამი ხელიდან გააგდებინონ. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგეშია, რომ ის ისე როგორც პოლიტიკურ ფრონტზე—კულტურულ ასპარეზზე ზოგიერთი უცხოეთის კომპარტიები—არ იზიარებენ მოსკოვის შეხედულებას და მას ემიჯნებიან. მაგ. იტალიის კომპარტიის ლიდერმა აშკარად განაცხადა რომ იგი სრულებით არ იზიარებს საბჭოთა ხელისუფლების პოზიციას მხატვრულ ხელოვნების მიმართ. .

შიშით შეპყრობილი საბჭოთა ხელისუფლება ახდენს კულტურულ ძალებთან შეხვედრას მოსკოვში, სადაც ხრუშჩოვის მიმართვაში თუ არის რბილი სიტყვიერება—იგი სავსებით გამოხატავს დიდი ხნიდან აღებულ კომპარტიის პოლიტიკის გამართლებას, მრეწველობის რკინის სალტებში ჩატოვებას—მის დაბმას და მართველ წრისადმი დამორჩილებას. როცა ეს სტრიქონები იბეჭდება—გრძელდება ლაშქრობა თავხედ, თავაშვებულ ძალების ჩასაჩუმებლად, კომუნისტურ საბელში კვლავ შესარეკად და იქ კომუნისტურ დოგმებზე დასამბელად... ყოვლად ურჩი და გაუსწორებელი კალმოსნის ბედი ალბად იქნება საგიქეთში გამგზავრება.

შეიძლება ეხლა მაინც შეიგნონ და დაიჯერონ,—ვისაც ამის სურვილი აქვს,—სანამ ტოტალიტალური რეჟიმი არ დამხობილა კულტურულ ძალებს არ ექნებათ საშუალება თავისუფლად ამოსუნთქვის, თავისუფლების გარეშე კი ნამდვილი მხატვრობის თუ საერთოდ ხელოვნების წარმატება შეუძლებელია.

სპ. ხუციშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

მიმდინარე წლის თებერვლის დასასრულს თბილისში შესდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. ამ თათბირზე გამომჟღავნდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გამოჯანსაღება ვერ მოხერხდა. მიუხედავათ ათასგვარი რეფორმებისა, რომლებსაც ადგილი ქონდა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

აი ფაქტები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთ «კომუნისტის» პირველი მარტის ნომერში:

«რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა—თქვა საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა—ვასილ მჟავანაძემ თავის მოხსენებაში—მხოლოდ 73.5 პროცენტით». «რესპუბლიკამ ვერც შარშან შეასრულა ვენახების გაშენების გეგმა». «დაბალია მოსავლიანობა საზოგადოებრივ ბაღებში». უკანასკნელ წლებში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი რესპუბლიკაში შემცირდა.. «უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფრინველის რაოდენობა რეპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაში შემცირდა 350.600 ფრთით». «1961 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეცხოველეობისაგან 62.700.000 მანეთი ზარალი ნახეს». «მარშალ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.003 კილოგრამი რძე, ესე იგი წინა წელთან შედარებით წველადობა 113 კილოგრამით შემცირდა». «გასულ წელს ვერ შეავასრულეთ თამბაქოს, შაქრის, ბოსტნეულის, ქართოფილის, აბრეშუმის პარკისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები».

როგორც ვხედავთ, პატივცემულო მსმენელებო, საქართველოს სოფლის მეურნეობა ისევე უმწეო მდგომარეობაშია: ვერც სოფლის მეურნეობის პარტიული ბიუროს შექმნამ, ვერც სახელმწიფო-პარტიული კონტროლის ორგანოების შექმნამ საქმეს ვერ უშველა. რა თქმა უნდა ვასილ მჟავანაძე ყველა ამ საქმეში პირველ ყოვლისა ბრალს ისევ კოლმეურნეებს დებს: «გვყვანან—თქვა მან—არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, მაგალითად ხაშურის საწარმოო სამმართველოს სოფელ ავლევის კოლმეურნეობაში 731 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან გასულ წელს 309 კაცს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში. ხოლო სოფელ ტბის კოლმეურნეობაში, სადაც 145 შრომისუნარიანი წევრია, 46 კაცს მონაწილეობა არ მიუღია საკოლმეურნეო შრომაში, ღაშინ როცა ამ კოლმეურნეობაში დაქირავებულ პირებზე გაიცა 5.900 მანეთი».

ეს ფაქტი კი, ცხადჰყოფს, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელთა მუქარები კოლმეურნეობებისადმი, რომ მათ ჩამოერთმევათ საკარმიდამო მიწები ან, როგორც «მუქთახორა» გადასახლებულ იქნებიან სოფლიდან თუ კოლმეურნეობებში არ იმუშავებენ, მიზანს ვერ აღწევს. კოლმეურნეები მაინც გაურბიან კოლმეურნეობაში მუშაობას, თუ რატომ ხდება ეს? ამის შესახებ ვასილ მჟავანაძე არაფერს არ ამბობს. არ ამბობს იმიტომ, რომ ეს ფაქტი ამჟღავნებს კოლექტივიზაციის სისტემის უსუსურობას უზრუნველყოს კოლმეურნეების ნორმალური შრომისა და ცხოვრების პირობები. აი, მაგალითად ავლევის კოლმეურნეები ნორმალური შრომის პირობებში ღებულობდენ იმდენ შემოსავალს კოლმეურნეობიდან, რამდენიც საჭიროა მათი ოჯახის წევრების გამოსაკვებათ, ვითომ ისინი მაშინაც თავს აარიდებდენ კოლმეურნეობაში მუშაობას?—ჩვენ ვფიქრობთ, არა! მაგრამ ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა საკითხი: თუ 731 შრომისუნარიან კოლმეურნედან 309 კოლმეურნეს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში, როგორც ეს მჟავანაძემ თქვა,—საინტერესოა რა სახსრებით ცხოვრობენ ეს ადამიანები და მათი ოჯახები? უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათ გააჩნიათ საკარმიდამო მიწები და მათში მოწეული შემოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლით საზრდოობენ ისინი. ეს კი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობაში ისე დაბალია, რომ კოლმეურნეს მხოლოდ ამ შემოსავლით არსებობა არ შეუძლია. მაგრამ, როგორც ჩანს, კოლმეურნეები შემოსავლის სხვა წყაროებსაც ეძებენ: ვასილ მჟავანაძემ, მაგალითად, აღნიშნა, რომ იმავე ავლევის კოლმეურნეობამ «დაქირავებულ პირებზე გასცა 5.900 მანეთი» გასული წლის განმავლობაში. ვინ არიან ეს «დაქირავებული პირები»? თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს სოფლებში კოლმეურნეებს გარდა სხვა მუშახელი არ არსებობს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ «ეს დაქირავებული პირები» არიან «სხვა სოფლის» კოლმეურნეები, რომლებიც «თავის» კოლმეურნეობაში «შრომას გაურბიან», მაგრამ «სხვა კოლმეურნეობაში» სამუშაოს ეძებენ! ეს მართლაც რომ განსაცვიფრებელი ფენომენია: ესე-იგი კოლმეურნეები «გაურბიან» თავის კოლმეურნეობაში მუშაობას, ვინაიდან მასში—ჯერ ერთი—თავის კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება დაბალია, და მეორე—მისი მიღება შესაძლებელია მხოლოდ წლის ბოლოს და სამუშაოს ეძებს სხვა კოლმეურნეობაში, სადაც შრომის ანაზღაურება, მართალია, დიდი არ არის, მაგრამ შრომის ანაზღაურებას ღებულობს მაშინათვე ფულის სახით. ეს კი ორმაგად აკოტრებს კოლმეურნეობის სისტემას: კოლმეურნე ამჯობინებს «სხვა» კოლმეურნეობაში დაქირავებულ შრომას, «თავის» კოლმეურნეობაში მუშაობას!

განა კოლმეურნეობების სისტემის ამ მანკიერების გამოსწორება შესაძლებელია—როგორც მჟავანაძემ თქვა—«პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის» გაძლიერებით?—რატომ ენას არ იღებს საქართველოს ჟურნალ-გაზეთები თუ გნებავთ «პოლონეთის მაგალითის! შესახებ, სადაც კოლექტიური სისტემა გაკოტრდა და დღეს მთელი სოფლის მეურნეობა ეყრდნობა ერთპიროვნულ ინდივიდუალურ მეურნეებს. რომელთა ხელშია მთელი სახნავ-სათესი მიწების 87 პროცენტი? ამის შედეგია ის, რომ პოლონეთში არც ე. წ. «მუქთახორობას», არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაკლებობას და არც საერთოდ სოფლის მეურნეობის კრიზისის ადგილი არ აქვს. რატომ ამაზე არაფერს არ ამბობს ვასილ მჟავანაძე? *)

კარლო ინასარიძე.

---

*) გადაცემული მიუნხენის რადიო-სადგურის «თავისუფლება» 3 მარტი 6963 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მოგონებიდან.

(სანდრო მენაღარიშვილი)

სანდრო გავიცანი ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობაზე. ის გამოგზავნილი იყო დელეგატთ ქუთაისიდან. აგრარულ რეფორმის გარშემო გაიმართა საინტერესო კამათი, ორატორთა შორის პირველი ადგილი სანდრომ დაიკავა—როგორც მჭერმეტყველობით, ისე თვით მიწის საკითხის გარკვევაში. მთელი დარბაზი მას უსმენდა დიდის ყურადღებით. ნოე რამიშვილმა ცალკე თათბირი მოახდინა დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ დელეგატების. მისცა მათ დირექტივები. 34 დელეგატში სანდრომ მიიქცია ნოე რამიშვილის ყურადღება და იქიდან მოყოლებული ნოე მუდამ აფასებდა მის გამჭრიახ გონებას!

1918 წელს როცა გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა ქუთაისის ქალაქს რბევა დაუწყეს, სანდრო თოფით ხელში რაზმს ხელმძღვანელობდა და აგიტაციას ეწეოდა, რომ გონზე მოეყვანა გონება-დაკარგული ჯარისკაცები. ქუთაისის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში სანდროს აფასებდენ როგორც აქტიურ, თავდადებულ მუშაკს. აქედან ის გადაყვანილი იქნა ზესტაფონის სამაზრო ეროობაში,—ადმინისტრატიულ გაყოფილების გამგეთ და აგრეთვე არჩეულ იქნა სახალხო გვარდიის შტაბის წევრად,—იგი ესწრება სახალხო გვარდიის მეორე ყრილობას.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ სანდრო აქტიურ მუშაობაში ჩაება გურიაში. მას აქ მოუხდა მუშაობა მძიმე პირობებში. როცა ჯალათ ობოლაძის თარეშის გამო—ძნელი იყო თავის შენახვა. სანდრო ღებულობდა ცენტრიდან დავალებებს. არა ერთჯერ ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, მაგრამ იგი უშიშრად გადადიოდა ერთი კუთხიდან მეორეში.

ნოე ხომერიკის მოთხოვნით სანდრო გაწვეულ იქნა თბილისში. ის აქ ხელმძღვანელობს თბილისის კომიტეტს და აგრეთვე პარტიის დავალებით შედის ინტერპარტიულ კომიტეტში...

აჯანყების შემდეგ ბევრი ამხანაგები და პოლიტიკური მოღვაწენი იძულებული ხდებიან სამშობლო დასტოვონ.

თბილისში იმ დროს მეც მიხდება მუშაობა. სანდროს დავალებით—ვაწყობ სააღვარგარეთ შ. ამირეჯიბის და ს. ხალდასტანიშვილის გამგზავრებას... დრო გადის სანდროს გაფაციცებით დაეძებს «ჩეკა». მისი გაჩერებაც შეუძლებელი ხდება და იგიც ეხიზნება უცხოეთს. უცხოეთში სანდროს მუშაობა იყო უაღრესად აქტიური. მან მიიპყრო ყველას ყურადღება. თავისი ორგანიზაციული უნარიანობით და გვერდზი ამოუდგა ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილს და დაუღალავად, შეუწყვეტლივ ასრულებდა მრავალ დავალებებს. პარტიაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიათა წარმომადგენლობაში თუ კავკასიის კომიტეტში იგი ასრულებდა მძიმე მოვალეობას და ასრულებდა პირნათლად.

ნოე რამიშვილის ტრაღიკულმა სიკვდილმა მასზე მძიმედ იმოქმედა, მან კიდევ გააცხოველა თავისი საქმიანობა და აქტივობა.

ნ. ჟორდანიას ნდობით აღჭურვილმა ეროვნული მუშაობა—ჩვენ მეზობელ სამხრეთის ერში გადაიტანა. აქაც მან მოიხვეჭა ნდობა მასპინძლების. გააბა საჭირო კავშირები, იყო კავშირის ერთა საერთო ხელმძღვანელობაში.

მძიმე ავადმყოფად ჩავარდნის შემდეგაც მუდამ საერთო საქმეზე ფიქრობდა და მეგობრებთან კავშირი არ შეუწყვეტია. ყველას თავის აზრს უზიარებდა.

სანდრომ ღირსეულად შეასრულა თავის მოვალეობა და წავიდა ჩვენგან სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი.

ვალიკო ჩუბინიძე.

ვახტანგ აბაშიძის ხსოვნას.

კიდევ ერთი დიდებული ქართველი გამოეცალა ქართულ ემიგრაციას. 4 მარტს მივაბარეთ საფლავს ვახტანგ აბაშიძე. სუფთა და პატიოსანი გრძნობის ადამიანი, რომლის გულში ღვივოდა, გაუქრობელ ლამპარივით სიყვარული თავის მშობელი ქვეყნისა—საქართველოსადმი. ვახ. აბაშიძემ თავისი მამულიშვილური ვალი, ჯერ ისევ ახალგაზდამ იქ მოიხადა, სამშობლო მიწაზე: როცა წითელი რუსეთი დაგვესხა თავს. იგი თავის ამხანაგებთან, სამხედრო სკოლის კურსანტებთან ერთად იბრძოდა კოჯორთან.

უცხოეთში, მას მოუხდა, მისთვის და სხვა მრავალ ქართველებისთვის, მეორე სამშობლოს, პოლონეთის თავისუფლების დაცვა უთანასწორო ბრძოლაში, ჰიტლერელების წინააღმდეგ.

თავისი მამულიშვილური სიტყვა, განსვენებულმა, აქაც სთქვა ამერიკის მიწაზე: ქართულ საზოგადოებას რომ აქვს დღეს საკუთარი სახლი, საკუთარი თავშესაფარი ეს მთლიანად იმ ორხანიზაციას ე. წ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს ნამოღვაწარია, რომელ ორგანიზაციის ერთი თვალსაჩინო წევრი ვ. აბაშიძეც იყო,

მარტო ერთი რამ ეწადა განსვენებულს; რომ ქართულ საზოგადოებაში ყოფილიყო მთლიანობა, ძმური კავშირი და ურთიერთისადმი სიყვარული.

დიდება მის სულს.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ლ. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. ს.-დ. მ. პარტიის საზ. გარეთელი ბიუროს განცხადება.

საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის საზ. გარეთელი ბიურო, გაეცნო რა, ნ. ცინცაძის ჯგუფის მიერ გამოშვებული ორი «ბიულეტენის» შინაარს, შინაპარტიულ უთანხმოებათა შესახებ —აღნიშნავს »ბიულეტენის» ავტორების მიერ ფაქტების დამახინჯებას და გაყალბებას.

საზღვარგარეთელი ბიურო აცხადებს, რომ ბიუროს 19 წევრიდან ჩამოშორებული 6 კაცის მიერ «გაერთიანებული ბიუროს სახელით გამოსვლა დემოკრატიული პრინციპების მიხედვით ყოვლად დაუშვებელია.

გასული წლის იანვარში ნ. ცინცაძის მიერ ეროვნულ საბჭოს ყრილობაში მონაწილეობის მიღების შემდეგ, ყრილობიდან 3 დეპუტატით წასვლა და ეროვნულ საბჭოს სახელით მოქმედების გაგრძელება ყოველგვარ იურიდიულ საფუძვლებს მოკლებულია.

გაუმართლებელია აგრეთვე ნ. ცინცაძის მიერ სახელდახელოდ შექმნილი ე. წ. «ეროვნული საბჭოს» დელეგაციით, პარიზის ბლოკის კონფერენციის წინაშე წარსდგომა ეროვნულ საბჭოს სახელით.

საზ. გარეთელი ბიურო აცხადებს რომ მათი «გაერთიანებული ბიურო», «ეროვნული საბჭო» და «პარიზის ორგანიზაციის კომიტეტი» მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ და საზოგადოებრივ საფუძვლებს. ბიუროს ხელმეტათ მიაჩნია მათთან ამის გამო კამათისა და პოლემიკის წარმოება.

სიმართლის აღსადგენათ!

ნ. ცინცაძის «ბიულეტენი» აგრძელებ სჩვენს მიერ ჩატარებულ კონფერენციის გაბახებას, დამცირებას, სახელ ის გატეხას. ალბად ესაა მისი აზრით პარტიის სამსახური. გვიწვევენ «მოგახსენებთ თქვენს მოღვაწეობას,რა გაგიკეთებიათ|უკანასკნელ წლებში»;და ეს იძულებულს გვხდის იქით შევეკითხოთ,—თუ რას აკეთებდა სამი ათეული წლის განმავლობაში, გარდა ჩვენი ხელმძღვანელობის კრიტიკისა. ეს მესამეჯერ არის, რომ დაარღვია პარტიული ორგ-ციის მთლიანობა, ამის მოწამენი ჩვენ ყველანი ვართ და დღეს ამის მტკიცება საჭირო აღარ არის... ჩემი ვალია, როგორც პარტიულ კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერენციის თავმჯდომარის დავიცვა კონფერენციის უფლებები.

კონფერენცია მოწვეულ იქნა იმ წესების და ტრადიციების მიხედვით, რომელიც მუდამ არსებობდა ჩვენს პარტიაში, როგორც ლეგალურ ისე არალეგალურ პირობებში. სრულიად დემოკრატიული წარმომადგენლობის წესით. როგორც საზ-ელ ბიუროს დიდმა უმრავლესობამ, ისე პარიზის ორგანიზაციამ—ამ მხრივ გადასდგა სათანადო ნაბიჯები. ამას აუმხედრდა ნ. ცინცაძე.

ჩვენ მივიღეთ მისი წრიდან მუქარის წერილი, სადაც გვატყობინებდენ «არ ჩამოხვიდეთ, კონფერენცია არ შედგება, ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს ზომები»-ო. ამან გვაიძულა არა თუ ჩამოვსულიყავით, არამედ კონფერენცია დახურულ კარებში მოგვეწვია და სწორეთ რომ მოვიქეცით იქიდანაც სჩანს, რომ კონფერენციაზე გამოცხადდენ ამხ—ბი რომელთა დაშვება შეუძლებელი შეიქნა ერთი პიროვნების საქციელის გამო.

კონფერენცია ჩატარდა სრული ამხანაგური ერთსულოვნებით, მან პასუხი გასცა მტკივნეულ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს, სრული ნდობა გამოუცხადა ცენტრალურ ორგანოს, დაუმატა ზოგიერთი საჭირო ამხ—ბი.

უცხოეთში გაფანტული სოც.-დემ. ძალები ვალდებული არიან დადგენ მის ხელმძღვანელობის ქვეშ, დაიცვან მისი წესები და ტრადიციები...

კონფერენციის თავმჯდომარე
ილ. სალუქვაძე.

პარტიული ცხოვრება.

ამაწლის 28 აპრილს, პარიზის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ამხ. რ. არსენიძემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელმაც გამოიწვია ცხოველი ინტერესი.

გარჩეულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

იუვიათი ნაწარმოები.

ივ. ზურაბიშვილი: «კარგ ქართველთა ხსოვნისათვის».

დაიბეჭდა და გამოვიდა, უცხოეთში გარდაცვლილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ლიტერატორის ივ. ზურაბიშვილის ნაწარმოები. ძველი ბრწყინვალე თაობის საუკეთესო წარმომადგენლის მოგონება, ცხადია ცხოველ ინტერეს გამოიწვევს ქართველ მკითხველში. მის მიერ მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრობილ ამბებს, როგორც საკუთარ ყრმობის წლებში გადატანილს და განცდილს, ისე მის დამოკიდებულებას და თანმშრომლობას ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან—ჩვენ გადავყავართ წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების სინამდვილეში...

უაღრესი გულწრფელობით და გრძნდბიერებით აღწერილი და გაშლილია თითეული ეპიზოდი, როგორც კერძო ოჯახურ ურთიერთობისა, ისე საზოგადოებისთვის თავდადებულ შრომისა, ქართული კულტურის სამსახურისა...

ავტორი აცოცხლებს ჩვენს წინაშე ზოგიერთ ცნობილ პიროვნებებს,—ისეთი თხრობით, ისეთი სითბოთი და სიყვარულით, რომ წაკითხული, მკითხველს იპყრობს და აჯადოებს.

თითეული აღწერა წრფელი განცდით მხატვრული ფერადებით შემკობილი,—მოცემულია ვითარცა შედევრი ბელეტრისტულ ნაწარმოებისა.

ხუთიოდე გვერდზე გადაშლილი—სათნოება და სიყვარული დედისა,—მიმალულ გრძნობას აღვიძებს, აფორიაქებს, იჭრება გულის სიღრმეში..... იწვევს მძიმე განცდის ცრემლებს...

მოგონება გაბრიელ ეპისკოპოსზე, დიდ ილიაზე და სხვებზე ღირსია უდიდესი ყურადღების და გარჩევის, რომ სამწუხაროთ ჩვენი ქურნალის ადგილი ვიწრო და განსაზღვრული არ იყვეს.

ბ.

ბიბლიოგრაფია.

ისიდორე მანწკავა—ქართული კულტურის გეზი. ოქროს ხანა. პარიზი, 1962. 48 გვერდი.

უდროოდ გარდაცვალებული ისიდორე მანწკავა, რომელიც 1924 წლის შემდეგ გარდახვეწილობის მძიმე და დუხჭირ ჭაპანს ეწეოდა, გამონაკლისი იყო მისი თაობის ამხანაგთა შორის: ქარხანაში მიუჩვეველ მუშაობის მიუხედავად, მას არ წართმევია სურვილი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხები ესწავლა და განეხილა. უკანასკნელი ომის წინ მან ქართულ ლიტერატურის კვლევას ერთი წიგნი მიუძღვნა და ეს მეორე, აქ დასახელებული წიგნი კი ქართული კულტურის გზებს, კერძოდ, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას ეხება.

პირველ თავში (აღმავალი ხაზი) ავტორი მოკლედ განიხილავს, როგორ გაიზარდა და განმტკიცდა ქართული სახელმწიფო დავით აღმაშენებელის ჭკუიანური და მომქმედი პოლიტიკით. შემდეგ იგი ეხება ქართულ სოციალურ კულტურას; განიხილავს მერმე ქართულ არქიტექტურასა და ხელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნებას, უფრო დაწვრილებით; გვაცნობს საერო მწერლობის განვითარებას,—და ყველა ამ ნარკვევში იგი პარალელს ავლებს დასავლეთი ევროპის კულტურასთან.

ავტორი სრული დარწმუნებით გვიმტკიცებს, რომ საქართველოს კულტურა ყველა მისი ნიშანდობლივი გამოვლინებით წინ უსწრებდა დასავლეთის კულტურას და საამისოდ მას საბუთებიც მოაქვს. დაბოლოს იგი ამ საკითხს ანზოგადოებს და საერთოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთის კულტურის ურთიერთობას ეხება. ავტორის შეხედულებით, თუმცა ამ კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთობა «ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ძიებისა და რკვევის საგანი», მაინც დღეს შესაძლებელია ითქვას, რომ აღმოსავლეთი წარმოადგენს სულიერი და ნივთიერი კულტურის ულევ სალაროს; საყურადღებოა: ყველა რელიგიის ჩამოყალიბება აღმოსავლეთმა მოგვცა; ხელოვნების, მეცნიერების და აზროვნების დარგში იგი პირველი იყო. კულტურები და ცივილიზაციები აქედან იღებს თავის დასაწყისს»-ო.

ამ თვალსაზრისით არის განხილული ქართული კულტურის საკითხებიც და ამიტომ ავტორი დაასკვნის. რომ «ქართული მსოფლიო, მისი ცივილიზაციისა და კულტურის ხარისხი და თავისებურება... ეხლა წინ დგება ვით ისეთი რაიონი, სადაც ეს დასავლეთის და აღმოსავლეთის განვითარების გზები ადგილობრივ მაღალ ეროვნულ კულტურულ ნიადაგზე, ინტენსიურ ურთიერთობაში იმყოფებოდა. წარსულში საქართველო წარმოადგენდა კულტურისა და ცივილიზაციის ისეთ რაიონს, სადაც ჯვარედინდებოდა აღმოსავლეთის და ანტიური დასავლეთის განვითარების გზები, ხოლო ამავე დროს, თვით საქართველო რასიულად და ეროვნულ-კულტურულად მკვეთრად გამოკვეთილი, ერთეულს წარმოადგენდა და სწორედ ამ გარემოებათა გამო ამ ორ დიდ კულტურულ მიმოქცევაში, ადგილობრივ, მაღალ ეროვნულ ნიადაგზე, საქართველო ჰქმნიდა ახალ მიღწევებს, სინტეზს, სადაც მისი მემოქმედებითი ენერგია თავისუფლად ინელებდა და განიერად ფარავდა ჯვარედინად მიღებულ მიღწევათა სიმაღლეებს»-ო.

დასახელებული შრომა დიდად საყურადღებოა იმ შემთხვევაშიც, თუ მცოდნე მკითხველი ავტორს არ დაეთანხმება.

ამ წიგნით ავტორმა თავისი დიდი წვლილი შეიტანა ემიგრაციის კულტურულ ცხოვრებაში და მადლობის ღირსია გამომცემელი, რომელმაც ქართველ მკითხველს არ დაუკარგა უდროოდ გარდაცვალებული მკვლევარის ნაშრომი და მისი დაბეჭდვით გაამდიდრა ჩვენი აქაური მწიგნობრობა.

ბიმოდ ჩილვაკლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ რ ე ს ი დ ა ნ.

ერთი უცხო ინჟინერი, რომელმაც რამდენიმე თვე დაყო ამიერ-კავკასიაში უცხოელებისგან აშენებულ ქარხნის რემონტის გასაკეთებლად, მოგვითხრობს: რომ მას თითქმის გამუდმებით ჰქონდა კავშირი ადგილობრივ მუშებთან, ხოლო ადგილობრივი ინჟინრები კი ერიდებოდენ მასთან შეხვედრას, რადგან ეშინოდათ მთავრობის რეპრესიების. მუშებს ის ხვდებოდა არა მხოლოდ სამუშაოზე, არამედ მის გარეშეც. რეპრესიის შიში მათაც ქონდათ, მაგრამ უფრო ნაკლები, ვინემ ინჟინრებს.

უცხოელი ინჟინერი ხაზგასმით აღნიშნავს. რომ მუშები, რომელთაც ის ხვდებოდა, ყველანი გამოუკლებლივ უკმაყოფილო იყვენ თავის მდგომარეობით. მათი ცხოვრების დონე მეტათ დაბალია. ინჟინერი მათ ოჯახშიც ყოფილა და იცის, რომ მუშები ძალიან ცუდათ იკვებებიან, თვით კავკასიაშიც კი, რომელიც ხილის დიდი მოსავალითაა განთქმული, იგი მუშებისთვის მიუწვდომელია მაღალი ფასების გამო. 8—10 ჯერ უფრო ძვირია იქ ხილი, ვინემ პარიზში.

მუშების უკმაყოფილება გასაგებია, მაგრამ როცა ერთ მათგანს ჰკითხა, რატომ არ აცხადებთ პროტესტს ასეთ უსამართლო წესების წინააღმდეგო, პასუხათ მიიღო: ერთხელ უკვე მოვიარე ციმბირი ასეთი პროტესტის გამო, და არავითარი სურვილი არ მაქვს ხელმეორეთ იქით ვიმოგზაუროო; მართალია მაშინ სტალინის ეპოქა იყო, მაგრამ არა მწამს, რომ მომხდარი ცვლილებები ხანგრძლივი და მტკიცე გამოდგებაო.

იგივე ინჟინერი გადმოგვცემს, რომ მუშები რომელთაც ის შეხვდა, ყველანი გამოუკლებლივ წინააღმდეგი არიან კომუნისტური მთავრობის და პირადათ ხრუშჩოვის. ზოგიერთები სტალინის ხანასაც კი უკეთესათ თვლიან. «მის დროს უკეთ ვცხოვრობდითო», ასეთი სიტყვებიც კი მსმენია ზოგიერთებისაგანო. შეიძლება ეს ცალკეული პირების განწყობილებას გამოხატავდეს, მაგრამ ერთი უდაოა: ხრუშჩოვის წინაღმდეგ უკმაყოფილება მეტათ დიდია, მას თვლიან ისე პირად, რომელიც შეგნებულად მატყუარობს.

იმავე ინჟინერის თქმით, ქართველებისა და სომხებისგან ხშირათ გაიგონებთ ანტირუსულ განცხადებებს.

ახალგაზრდა ინჟინერი, რომელმაც ეს ამბები გადმოგვცა, უცხოელია, საბჭოთა კავშირში ჩასვლამდე ის თანაგრძნობით ეკიდებოდა კომუნისტებს. ეხლა კი ის სრულიად განთავისუფლებულია ამ ავადმყოფობისაგან. მასზე განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სრულმა სამეურნეო არევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარევამ და სახელმწიფო ქონების საყოველთაო ქურდობამ. მშენებლობაზე სულ ერთიანად იპარავდენ სათადარიგო ნაწილებსო, ამბობს ის. ამ გაცარცვის წინააღმდეგ ხელისუფლება უძლურია—რაიმე იღონოს და ტრესტები ხშირათ თვითონ ყიდულობენ მცარცველთაგან გატაცებულ მასალებსო.

მეორე ინჟინერი, ისიც ახალგაზრდა და უცხოელი, რომელიც დონბასში მუშაობდა, სავსებით ადასტურებს ზემოაღნიშნულის სისწორეს. იგი თან ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე სურსათ-სანოვაგის დიდ ნაკლებობას, კერძოთ ხორცის საკითხის ცუდ მდგომარეობას. ხორცი ძნელი საშოვნელია და მერე ისე ძვირი ღირს, რომ შეძენა თითქმის შეუძლებელიაო. შედარებით ადვილი საშოვნელია ღორის ხორცი, მაგრამ მისი ფასის გადახდა ბევრს არ შეუძლია. მუშები უმთავრესათ იკვებებიან მხოლოდ ქართოფილით და სხვ.

ამ ინჟინერმა ორი წელიწადი დაჰყო დონბასში და ამოწმებს, რომ არა თუ რაიმე გაუმჯობესება არ შეუნიშნავს ამ ხნის განმავლობაში, პირიქით მდგომარეობა თანდათან უარესდებაო. კუდები სურსათ-სანოვაგის დუქნების წინ ნორმალურ მოვლენათ იქცა და თანდათან უფრო გრძელი ხდება... და სხვ.» *)

ასეთია საბჭოთა კავშირის სინამდვილე.

კომ. პარტიები უცხოეთში.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით კომუნისტების დასუსტება უცხოეთში მომხდარი ფაქტია. მიზეზები ამისი მრავალია, მათ შორის უმთავრესია ორი: დესტალინიზაციით გამოწვეული დაბნეულობა, და დასავლეთ ქვეყნების ეკონომიური გაჯანსაღება...

მაგალითად: იყო დრო როცა ამერიკის კომპარტიის რიგებში ითვლებოდა 85 ათასი... ის ერთგვარი გავლენითაც სარგებლობდა ზოგიერთ მუშათა პროფ-კავშირებში. ჰქონდათ რამოდენიმე ბეჭდვითი ორგანო, რომლებიც დღეს აღარ გააჩნიათ, პარტიის წევრთა რიცხვი დაეცა. თავისუფალ მუშათა პროფ-კავშირების ყრილობაზე—რომლებშიც 15 მილიონი წევრი ითვლება—მათ ვერ გაიყვანეს ვერცერთი დელეგატი.

ინგლისის კომპარტია ითვლის მხოლოდ 28 ათას, უწინ მას ჰყავდა პარლამენტში ორი დეპუტატი და მართავდენ რამოდენიმე ადგილობრივ მუნიციპალიტეტს—ესლა მათ ერთიც არ გააჩნიათ. უკანასკნელ არჩევნებში მათ წამოაყენეს 300 კანდიდატი. ვერ გაიყვანეს ვერც ერთი.

დასავლეთ გერმანიაში კომპარტია აკრძალულია—ითვ

*) იხ. «სოც. ვესტნიკ» 1963 წ. მარტი-აპრილის ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება 5 ათასი წევრი. მათ არ აქვთ გავლენა არც ერთ მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციაში...

ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, ნორვეგიაში და დანიაში კომპარტიები ვერ თამაშობენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ვერავითარ როლს. ყველა ამ ქვეყნებში სოციალდემოკრატიული პარტიები ითვლებიან მმართველ პარტიათ თუ არა—მეორედ მაინც.

ავსტრიაში სოციალდემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ორი მილიონი ხმა, კომპარტიამ—135 ათასი ხმა. ასეთივე მდგომარეობაა დაახლოვებით ნორვეგიაში და შვეციაში.

მხოლოდ საფრანგეთში და იტალიაში კომპარტიები წარმოადგენენ საგრძნობ ძალას. მათი გავლენა ჯერ-ჯეროობით მნიშვნელოვანია, თუმცა საფრანგეთის კომ. პარტიაში ითვლებოდა 600-700 ათასი წევრი, ის ჩამოვიდა 250 ათასამდე.—ეს ფაქტი ფრიად დამახასიათებელია.

იტალიის კომპარტია ჯერ-ჯეროობით—მეორე პარტიაა იტალიაში. უკანასკნელად მანაც დაკარგა რამოდენიმე ასეული ათასი წევრი. იტალიის კომუნისტურ ახალგაზდობის კავშირმა დაკარგა 40 პროც. თავის წევრების.

აფრიკის ახლად განთავისუფლებულ ქვეყნების მიმართ მატერიალური დახმარებით—მოსკოვი ფიქრობდა ადგილობრივ კომპარტიების გაძლიერებას. ზოგიერთ ამ ქვეყნების წარმომადგენლების მოგზაურობა მოსკოვში შეწყდა. მათ და აგრეთვე არაბთა ქვეყნებმა დაინახეს კომპარტიების დამანგრეველი მუშაობა და მოსკოვის ზრახვებიც... მათ უკანასკნელათ პირი იბრუნეს დასავლეთის დიდ დემოკრატიულ სახელმწიფოებისკენ და ცდილობენ მათთან ლოიალურ თანაშრომლობის დამყარებას.

ისარი.

მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირში.

1962 წლის 4 ნოემბერს, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირმა ბ ნ შ. კალანდაძის თავმჯდომარეობით, გამართა სალიტერატურო დილა, რომელსაც დაესწრო მრავალრიცხოვანი ქართული საზოგადოება.

პ. სარჯველაძემ მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: «ხალხური სიბრძნე—ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში». ის ფართედ შეეხო ქართული ფოლკლორის ამ მხარეს,—მოიყვანა მრავალი ნიმუშები მხატვრულ პროზიდან და პოეზიიდან ქართულ ზეპირ-სიტყვაობის გავლენისა მწერლობაში და სხ.

მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი ინტერესი.

მხატვრულ განყოფილებაში—ლექსები წაიკითხეს რუსუდან და ნანო სტურუამ, გოგი წერეთელმა და ჩვენმა პოეტმა გ. ყიფიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებამ ყველანი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

დასასრულ გულნარა და ოთარ პატარიძეებმა ფანდურზე დაამღერეს ლექსები—რამაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება.—ისინი რამოდენიმეჯერ იქნენ გამოწვეული.

სალიტერატ. დილით კმაყოფილი დარჩა საზოგადოება.

ბ-ნ ი. გობეჩიამ თავის მხურვალე სიტყვაში კმაყოფილება და მადლობა გამოუცხადა მწერ. და ჟურნალ. გამგეობას

ვიქტორ ნოზაძის მოსსენება.

გასული წლის დეკემბრის რიცხვებში ბ-ნ ვ. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება «ვეფხის ტყაოსანი».

როგორც ვიცით მომხსენებელი არის ღრმა მცოდნე, დიდი შემომქმედის—რუსთაველის ნაწარმოებისა, მოხსენებამ მიიზიდა მრავალრიცხოვანი საზოგადოება, რომელმაც დიდის ინტერესით მოუსმინა მას, და მადლობის ნიშნად მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა.

უკრაინის დამოუკიდებლობის დღე.

ამაწლის 25 იანვარს, «სარკ მილიტერ»-ის დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა უკრაინის დამოუკიდებლ ობ ის დღის აღსანიშნავად.

ჩვენმა თანამემამულე პოლკ. ნ. თოხაძემ დამსწერთ მიმართა მხურვალე სიტყვით, აღნიშნა უკრაინის განმახთავისუფლებელი ბრძოლის ეპიზოდები წარსულში და აგრეთვე ახალი ბრძოლი დამოუკიდებლობის აღსადგენათ. უსურვა უკრაინელთ სრული გამარჯვება.

გ ა მ ო ვ ი დ ა

რ. არსენიძის შრომა:

„განხილვა ვახტანგ მე-VI კანონმდებლობისა"

დაიბეჭდა და გამოვიდა

ლეონტი ყლეარტის წიგნი რუსულ ენაზე:

რევოლუციის მიზეზები კავკასიაში და მისი ხელმძღვანელობა

«ჩვენი დრომის» გამოწერა შეიძლება მემდეგ მისამართზე

M-r Berichvili

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

(S. et O.) France.

შემოწირულებაც უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობის გამოცხადება.

ულრმეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც პირადათ თუ წერილობით თანაგრძნობა გამომიცხადეს ძვირფასი მეუღლის (ოლგას) გარდაცვალების გამო.

ბ. ერაძე.

მ ა დ ლ ო ბ ა.

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ სათვისტომოს გამგეობას, ქართულ საზოგადოებას, მრავალ მეგობრებს, რომლებმაც წერილობით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს და ფართედ გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ძვირფასი დედის ნინო ჯაფარიძის გარდაცვალების გამო.

შვილები:
თინა და ირაკლი.

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

ნიუიორკიდან ამხ. ილ. გოლდმანის ქალიშვილისგან 30 დოლარი.

ანა იაკობაშვილი-ელიგულაშვილი	250	ფრანკი.
არსენიძე რაჟდენ	600	»
სოშოდან	120	»
ინწკირველი პროკოფი	100	»
სარჯველაძე პავლე	90	»
ბერიშვილი მამია	80	»
კვიტაიშვილი აკაკი	70	»
ლიონიდან	70	»
ბარამიძე გრიშა	60	»
ტატიშვილი ალექსანდრე	50	»
ჩუბინიძე ვალიკო	50	»
ქარსელაძე ისიდორე	50	»
ჭელიძე ვალიკო	50	»
სტურუა მიხეილ	40	»
ჟორდანია გიგო	20	»
მელქაძე ალექსანდრე	10	»
ყურულაშვილი ნიკო	10	»
გრიგოლაშვილი ჟორა	10	»
რიჟამაძე კიტა	10	»

ზემო მოყვანილი თანხა წარმოადგენს რამოდენიმე თვის შემოწირულებას. ამხანაგებმა აიღეს ვალდებულება, ყოველ თვიურად შემოიტანონ თავიანთი წვლილი. იმათ მაგალითს უნდა მიბაძონ ჩვენი პარტიის სხვა წევრებმა და თანამგრძნობებმაც და ამით უზრუნველჰყონ ჩვენი ბრძოლის ორგანო.

რედაქცია.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.